საქართველოს მთავრობის განკარგულება

№465 2016 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ეკონომიკური საბჭოს მე-3 სხდომის ოქმის შესაბამისად, მოწონებულ იქნა 2016 წლის კულტურულ ღონისძიებათა გეგმა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ მიმდინარე წლის 4 მარტს დამტკიცდა „2016 წლის კულტურულ ღონისძიებათა გეგმის შესრულებისთვის საჭირო განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ №03/71 ბრძანება.

2. დაევალოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმის განხორციელება და აღნიშნულის ეტაპობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წინადადების წარდგენა.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს:

ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, პირველ ეტაპზე საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი;

ბ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობას წარმოუდგინოს წინადადებები ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეტაპობრივი დაფინანსების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი